დანართი №1

# ფრაქცია „ქართული ოცნება“

2-1948/19
11-02-2019

**საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის**
**უფროსს, ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს**

ქალბატონო ეთერ,

მ/წ 07 თებერვალს, საპარლამენტო ფრაქციაში „ქართული ოცნება“ შემოსული თქვენი N 1-1735/19 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ 2017 წლის 1 იანვრიდან დღემდე, საქართველოს მთავრობის წევრებისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების წარმომადგენლების ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომაზე წერილობითი დაბარების აუცილებლობა დღის წესრიგში არ დამდგარა. ფრაქციის სხდომის ფორმატში საქართველოს მთავრობის წევრებისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების წარმომადგენლებთან შედგა სამუშაო შეხვედრები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, სოზარ სუბარი. (24.01.2017 წ.)**
**თემა:** ანგარიში სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობისა და დევნილთა დახმარების სისტემის სამომავლო რეფორმასთან დაკავშირებით.

**საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, ქეთევან ციხელაშვილი. (13.02.2017 წ.)**
**თემა:** საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა და მიმდინარე ღონისძიებები.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ნიკოლოზ გაგუა. (30.05.2017 წ.)**
**თემა:** საქართველოში სიღარიბის დონის მაჩვენებელთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება ფრაქციის წევრთათვის.

**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი)თავმჯდომარე, ირინა მილორავა;**

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე, კახი ბექაური;**
**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრი, ვატო აბაშიძე. (26.06.2017 წ.)**
**თემა:** უნდა გავრცელდეს თუ არა „საჯარო სამსახურის შესახებ" ახალი კანონი, კომისიის აპარატის თანამშრომლებზე.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, გიორგი კაკაურიძე. (09.10.2017 წ.)**
**თემა:** 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ლევან დავითაშვილი. (09.10.2017 წ.)**
**თემა:** აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, გიორგი კაკაურიძე;**
**საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი, ეკატერინე ქარდავა. (13.11.2017 წ.)**
**თემა:** „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" კანონპროექტის განხილვა.

**საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი, შალვა თადუმაძე. (05.12.2017 წ.)**
**თემა:** „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონსა და თანმდევ კანონპროექტებში შესატანი ცვლილებების განხილვა.

**საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, ქეთევან ციხელაშვილი. (05.03.2018წ.)**
თემა: საკანონმდებლო ინიციატივები, ახალი კონცეფციის პრეზენტაცია;

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ნიკოლოზ გაგუა;**
**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, ეკატერინე მიქაბაძე. (05.03.2018წ.)**
**თემა:** საპენსიო რეფორმა.

**სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ფარგლებში, 2017 წლის 12 ოქტომბერს უმრავლესობის ფორმატში განხილული იქნა შემდეგი დოკუმენტები:** საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი თანდართული მასალებით - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისთვის, საქართველოს მთავრობის მოხსენება „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ" და წლიური საბიუჯეტო

ასლის
დამოწმებისათვის

კანონის ამოქმედებისთვის საჭირო საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

პატივისცემით,

ფრაქციის თავმჯდომარე
მამუკა მდინარაძე

ასლის
დამოწმებისათვის

ფრაქცია „ქართული ოცნება - სოციალ-დემოკრატები“

2-1967/19
11-02-2019

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის
უფროსს ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

თქვენი №2-1735/19 წერილის პასუხად გიგზავნით მოქალაქე ირინა გურგენიშვილის მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, ფრაქციის მხრიდან აღმასრულებელი ხელისუფლების , კერძოდ მინისტრების ან მინისტრის მოადგილეების მოწვევის სტატისტიკის შესახებ.

**2017 წელი:**

. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური - თემა ზოგადი განათლების დარგში განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებები;

. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ გაგუა - თემა საპენსიო რეფორმა;

**2018 წელი:**

. საქართველოს შრომის ,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე - თემა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოქმედი დაფინანსების სისტემა.პროფილაქტიკური და პრევენციული ჯანდაცვის პერსპექტივები.სტანდარტები ჰოსპიტალურ სექტორში: ექიმის,ექთნისა და პაციენტების რაოდენობრივი მიმართება.ფარმაცევტული ბაზარი.მონოპოლიების საფრთხეები ჯანდაცვის სექტორში;

. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რევაზ ასათიანი - თემა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტები;

. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი - თემა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება;

. განათლების მინისტრის მოადგილე ლიკა გიგაური - თემა პროფესიული განათლება;

. საქართველოს ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე - თემა ახალი საგადასახადო ინიციატივა;

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ალექსანდრე თევზაძე - თემა გამოყენებითი მეცნიერების დაფინანსება;

. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია, მინისტრის მოადგიელე ეკატერინე მიქაბაძე - თემა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია;

. ფინანსთა მინისტრის მოადგილეები: გიორგი კაკაურიძე,ნიკოლოზ გაგუა,ლაშა ხუციშვილი - თემა საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში,საგადასახადო რეფორმა.

. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი - თემა განათლების სისტემაში 5-დონიანი რეფორმა.

**2019 წელი:**

. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი - თემა განათლების სისტემის რეფორმა.

ფრაქციის თავმჯდომარე
გია ჟორჟოლიანი

ასლის
დამოწმებისათვის

ფრაქცია
„ქართული ოცნება - მწვანეები“

2-1887/19
11-02-2019

**საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს**

**ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს**

ქალბატონო ეთერ,

თქვენი N 2-1735/9 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების, კერძოდ მინისტრების/მინისტრის მოადგილეების დაბარება ფრაქციის სხდომაზე დღის წესრიგში არ დამდგარა იმ ობიექტური მიზეზის გამო, რომ ფრაქციის წევრები ინტენსიურ შეხვედრებს მართავდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მინისტრებთან/მინისტრის მოადგილეებთან უმრავლესობისა და კომიტეტების ფარგლებში.

ფრაქციის თავმჯდომარე
გიორგი გაჩეჩილაძე

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

**2-2330/19**
**15-02-2019**

საქართველოს პარლამენტის

საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

ფრაქციაში შემოსული თქვენი №2-1735/19 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ფრაქცია ,,ქართული ოცნება - ძლიერი ეკონომის“ მხრიდან ფრაქციის სხდომაზე, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს წარმომადგენლების დაბარების აუცილებლობა დღის წესრიგში არ დამდგარა, ვინაიდან ფრაქციის წევრები აქტიური მონაწილეობას ღებულობდნენ უმრავლოსობის ფორმატში ჩატარებულ შეხვედრებში.

პატივისცემით,

ფრაქციის თავმჯდომარე
გოჩა ენუქიძე

2-1841/19
08-02-2019

საქართველოს პარლამენტის აპარატის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

**ქალბატონო ეთერ,**

თქვენი N2-1735/19 წერილის პასუხად, გიგზავნით მოქალაქე ირინა გურგენაშვილის მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას. კერძოდ, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" მიერ, მინისტრების ან/და მინისტრის მოადგილეების მოწვევის 2017-2019 წლის სტატისტიკას.

გთხოვთ იხილოთ დანართი (4 ფურცლად)

**პატივისცემით,**

ფრაქციის თავმჯდომარე
რომან გოცირიძე

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

# ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, 2017-2019 წლებში, დაბარებული აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები

| N | თარიღი | უწყება | დაბარებული პირები | საკითხი | შედეგი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 25/01/2019 | | პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე (დაბარებულია ინტერპელაციის წესით) | ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარების მკვეთრი ზრდა | მოლოდინის რეჟიმში |
| 2 | 13/11/2018 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | მინისტრი დავით ზალკალიანი | ჰაააგაში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, რომის სტატუტის მუხლი 15(3) და საპროცესო რეგლამენტის 50(1) მუხლის საფუძველზე, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე 7 აგვისტოდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში ჩადენილი ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების პროცესის მიმდინარეობა | არ გამოცხადდა |
| 3 | 13/11/2018 | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | მინისტრი თეა წულუკიანი | ჰაააგაში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, რომის სტატუტის მუხლი 15(3) და საპროცესო რეგლამენტის 50(1) მუხლის საფუძველზე, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე 7 აგვისტოდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში ჩადენილი ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების პროცესის მიმდინარეობა | არ გამოცხადდა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | 19/09/2018 | **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** | მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათის, რომლებსაც ავტორიზაციის ვადა 2018/2019 წლებში გასდის/გაუვიდა, ავტორიზაციის ვადის 2020 წლამდე გადავადება - სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების მოტივები და საფუძველი. | არ გამოცხადდა |
| 5 | 18/09/2018 | **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** | მინისტრი ივანე მაჭავარიანი | 1) კომპანია "ომეგა"-სა და ტელეკომპანია „იბერიი"-ს ირგვლივ განვითარებულ მოვლენები.<br><br>2) მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, იმის თაობაზე, რომ კანაფის წარმოებით 2-3 წლის განმავლობაში საქართველოში შესაძლებელი იქნება ერთი მილიარდი ლარის საექსპორტო პროდუქციის შექმნა, ფრაქციის სხდომაზე ეკონომიკური გათვლების წარმოდგენა. | არ გამოცხადდა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6 | 07/09/2018 | **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო** | მინისტრი დავით ზალკალიანი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის ხელმძღვანელი ზვიად გონაძე და მინისტრის მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი | საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის, 2017 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი 737,000 ლარის სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით ქ. თბილისში, ლეონიძის ქ. N3-ში მდებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო, საექსპერტიზო სამუშაოებთან და მდგრადობის კვლევასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ. კერძოდ, სამუშაოების დარღვევით შესრულებასთან დაკავშირებით და ასევე აღნიშნული სამუშაოების შესრულების დროს ახლო ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ მინისტრის მოადგილეს, ვახტან მახარობლიშვილსა და სამუშაოების შემსრულებელ კომპანია „ლენდ მარკ პროჯექტის“ 100 პროცენტიანი წილის მფლობელ ავთანდილ მახარობლიშვილს შორის. | არ გამოცხადდნენ |
| 7 | 20/02/2018 | **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო** | მინისტრი გიორგი გახარია | ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარების ზრდა | არ გამოცხადდა |
| 8 | 20/11/2017 | **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო** | მინისტრი მიხეილ ჯანელიძე | საქართველოს მთავრობის და კერძოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული რეაგირება, უკრაინის მთავრობის მიერ, კონსტიტუციისა და კანონის სრული დარღვევით, საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში | არ გამოცხადდა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დეპორტაციასთან დაკავშირებით, რასაც წინ უძღოდა მათი უკანონო დაპატიმრება და ადამიანური ღირსების უხეში შელახვა. | |
| 9 | 04/04/2017 | **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო** | მინისტრი გიგლა აგულაშვილი * | გურიასა და აჭარაში ასწლოვანი ხეების გადარგვასთან დაკავშირებით გარემოს დაცვის საზედამხედველო სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ. | არ გამოცხადდა |

** მინისტრი დაბარებული იქნა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, თინათინ ბოკუჩავას მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტზე*

**2-1768/19**
**07-02-2019**

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის

უფროსს ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

თქვენი N2-1735/19 წერილის პასუხად გიგზავნით მოქალაქე ირინა გურგენაშვილის მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას ფრაქციის მხრიდან აღმასრულებელი ხელისუფლების, კერძოდ მინისტრების ან მინისტრის მოადგილეების მოწვევის სტატისტიკის შესახებ.

2017 წელს ფრაქციის სხდომაზე საქართველოს მთავრობის წევრის წერილობითი დაბარების აუცილებლობა დღის წესრიგში არ დამდგარა.
2018 წელი:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი - თემა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში წარმოშობილი რიგი პრობლემები
- საგარეო საქმეთა მინისტრი - თემა: 2018 წლის 10-11 დეკემბერს მარაქეშში გამართულ გაეროს კონფერენციაზე ხელმოწერილი შეთანხმება (გლობალური მიგრაციული პაქტი) შეხვედრას დაესწრო სანდრო ინაშვილი და ეკატერინე ლორთქიფანიძე - საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის გაეროს სამმართველოს მრჩევლები
- შერიგებისა და თანასწორობის სამინისტროდან - სახელმწიფო მინისტრი - ქეთევან ციხელაშვილი - თემა: ანაკლიაში თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ.

პატივისცემით,

ფრაქციის თავმჯდომარე
გიორგი ლომია

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

**2-2164/19**
**13-02-2019**

საქართველოს პარლამენტის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

თქვენი წერილის (N2-1735/19, 07.02.2019) პასუხად, საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციების ,,ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის", "ევროპული საქართველო" და "ევროპული საქართველო - რეგიონები" სახელით, გიგზავნით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას.

პატივისცემით,
უმცირესობაში შემავალი ფრაქციების თავმჯდომარეები

ფრაქციის თავმჯდომარე
გიორგი წერეთელი

ფრაქციის თავმჯდომარე
ოთარი კახიძე

ფრაქციის თავმჯდომარე
გიორგი ღვინიაშვილი

ასლის
დამოწმებისათვის